



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030428883201818

№ 04-113/ო

09 / თებერვალი / 2018 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალებში მოსათავსებელ მაძიებელთა რეესტრისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილების, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების“ (დადგენილების დანართი 1.1), „ბავშვთა ადრეული განვითარების“ (დადგენილების დანართი 1.2.), „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“ (დადგენილების დანართი 1.3.) ქვეპროგრამებით განსაზღვრულ მომსახურებაში მოთავსების მსურველ პირთა, აგრეთვე, „დღის ცენტრების“ (დადგენილების დანართი 1.5.), „სათემო ორგანიზაციების“ (დადგენილების დანართი 1.12.), „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის“ (დადგენილების დანართი 1.13.) ქვეპროგრამების, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატში (შემდგომში – ფონდის ფილიალები) მოთავსების მსურველ პირთა (შემდგომში – მაძიებელი) ერთიანი, ცენტრალიზებული საინფორმაციო ბაზის წარმოების მიზნით, დამტკიცდეს:

ა) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“, „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის“ ქვეპროგრამებით განსაზღვრულ მომსახურებაში მოთავსების მსურველ პირთა, „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამების და ფონდის ფილიალებში მოთავსების მაძიებელთა რეესტრების წარმოების წესი (დანართი N1);

ბ) „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამის მაძიებელთა რეესტრი (დანართი N2);

გ) „ბავშვთა ადრეული განვითარების“, „დღის ცენტრების“, „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამების და ფონდის ფილიალებში მოთავსების მაძიებელთა რეესტრი (დანართი N3);

დ) „სათემო ორგანიზაციების“ ქვეპროგრამის და ფონდის ფილიალებში მოთავსების მაძიებელთა შეფასების ფორმა (დანართი N4);

ე) „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“ ქვეპროგრამის მაძიებელთა რეესტრი (დანართი N5);

ვ) „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის“ ქვეპროგრამის მაძიებელთა რეესტრი (დანართი N6).

2. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (თ. გოცაძე) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისთვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

3. ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსს, მ. წერეთელს.


4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების დაგზავნა/გადაცემა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge).

6. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამის და ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატების მომსახურებაში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 25 აპრილის N04-250/ო, ხოლო ამ ბრძანების ფარგლებში წარმოებულ დოკუმენტაციას, გამოყენების ვადით, შეუნარჩუნდეს იურიდიული ძალა.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე